საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თიკვი

თიკვი, ფერადი ქსოვილის არასიმეტრიული ნაკუწებითა და ზონრებით შემკობილი შესამოსელი ან საფენი. ზოგჯერ ეს ნაკუწები ერთმანეთზეა გადაკერებული, ზოგჯერ კი რაიმე ნეიტრალურ ფონზე არის დაკერებული. თ-ის დამზადების ხერხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინები: ზიკი და ნაფთულა. თ-ის ტექ. გამოყენებით ქართვ. მთიულები ამზადებდნენ მამაკაცის საშუბლეს (ოფლისაგან დასაცავად), ტრად. სამოსის ნაწილებს, საბნებს, საფენ-საღამურებს, კედლის საფრებს. თ-ებს იყენებდნენ ჩითების კერვისას, ტანსაცმლის ნაკერის დასაფარავად და სხვ.

ლიტ.: ა ზ ი კ უ რ ი ნ., თიკვი და ნაფთულა ქართულ ხალხურ ქსოვილსა და შესამოსელზე, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», 2004, ტ. 26.

ე. ნადირაძე